

## ჯგუფი ენერგო-პრო

---

გარემოს დაცვის,  
სოციალური საკითხების და  
მართვის პოლიტიკა



## გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და მართვის პოლიტიკა

### 1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერჯის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მასშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციაში და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი CKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

ენერგო-პრო ორიენტირებულია მდგრად ინვესტირებაზე და ანგარიშგებაზე. გარემოს დაცვის, სოციალური და მართვის პოლიტიკაში დაფიქსირებულია ჩვენი მიდგომები აღნიშნული მიმართულებით და წარმოადგენს ჩვენი „მდგრადობის სტრუქტურის“ შემადგენელ ნაწილს. ვაღიარებთ პასუხისმგებლიანი ინვესტირების და მდგრადი განვითარების მნიშვნელობას საზოგადოებაში, სადაც ვოპერირებთ, გარემოს და ბიომრავალფეროვნების და კავშირების დამყარების და საქმიანობის წარმოების ფორმის მნიშვნელობას. შევიმუშავეთ სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები. ჯგუფის წევრ კომპანიებს ევალებათ წარმოადგინონ ინფორმაცია აღნიშნულ ინდიკატორებზე (მოცემულია ცალკე დოკუმენტში).

საქმიანობის ყველა ასპექტში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მთელი პერსონალის და კონტრაქტორების მონაწილეობა და მობილიზება. ვიწვევთ ყველა თანამშრომელს, კონტრაქტორს და ქვეკონტრაქტორს, მონაწილეობა მიიღონ მდგრადობის უზრუნველყოფაში. ჩვენ დავნიშნეთ „გსმ პოლიტიკის“ საკითხებზე საკონტაქტო პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან გსმ პოლიტიკის მოთხოვნების შესრულებაზე, მათ შორის ანგარიშგებაზე და კონტრაქტორის / ქვეკონტრაქტორის მონაცემებზე.

## 2. მიზნები

გსმ პოლიტიკის მიზნებია:

- გსმ-ს სტანდარტების დაცვა და კარგი საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის დემონსტრირება;
- გსმ ანგარიშგების სტრუქტურის შექმნა;
- კომპანიის იმიჯზე დადებითი ზეგავლენა;
- გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და კარგი მმართველობის მუდმივ გაუმჯობესებაში კონტრიბუცია;
- ენერგო-პროს წვდომა ფინანსური პარტნიორების სახსრებზე, რომლებიც მოითხოვენ ანგარიშგებას გსმ-ს და მდგრადობის კუთხით.

## 3. გსმ პოლიტიკა

*“ენერგო-პროს მიზანია პასუხისმგებლიანი ინვესტირება, კეთილსინდისიერება და ესგ-ს პოლიტიკის საქმიანობის ყველა ფაზაში ჩართვა, დაწყებული დაპროექტების და დასრულებული ექსპლუატაციის და დახურვის ფაზებით. გვჯერა, რომ გსმ ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა და გათვალისწინებული იქნება ჩვენს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ყოველდღიულ ოპერაციებში. გვსურს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა დავამყაროთ ნდობის და ორმხრივი პატივისცემის საფუძველზე, შევქმნათ მრავალფეროვანი და ინკლუზიური სამუშაო გარემო, ვიზრუნოთ გარემოზე და ბიომრავალფეროვანებაზე, უზრუნველყოთ ჩვენი ოპერაციების გაუნახშირბადოება, საქმიანობა ვაწარმოოთ კეთილსინდისიერად და ეთიკურად. მდგრადი ინვესტირებისადმი მიდგომის დემონსტრირებას ვახდენთ აქტივობებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების და გსმ აქტივობების შესაბამისად.”*

## 4. გსმ პრინციპები

ენერგო-პროს გსმ პრინციპებია:

- ზუსტი მონაცემების დაფიქსირება და შესაბამისი ფორმით გავრცელება;
- გსმ-ს პოლიტიკის გათვალისწინება ჯგუფის საქმიანობის ყველა ასპექტში, მათ შორის საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაში;
- კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ მოქმედება;
- პასუხისმგებლიანად მოქმედება სოციალურ, გარემოსდაცვით და კარგი მმართველობის საკითხებში;
- მდგრადი განვითარების მიზნებთან და კარგ საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკასთან შესაბამისობა;
- პასუხისმგებლიანად ინვესტირება;
- დირექტორთა საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულება;
- რისკების პროაქტიულად გამოვლენა და ეფექტურად მართვა და შესაძლებლობების გამოვლენა;
- მოქმედი რეგულაციების დაცვა;

- ვალდებულება შეიმუშაოთ და განახორციელოთ კონკრეტული და ქმედითი გსმ გეგმები, რომლებიც შეესაბამება და ინტეგრირებულია ჩვენს ბიზნეს მიზნებთან და GIIP-თან და/ან გლობალურ და ადგილობრივ რეგულაციებთან.
- გსმ-ს მუდმივ ცლილებებთან ადაპტირება;
- გსმ-ს მუდმივად გაუმჯობესება.

## 5. გსმ საკითხების მართვა

გსმ-ს საკითხების მართვისთვის შეიქმნა გსმ კომიტეტი. კომიტეტში შედიან აღმასრულებელი დირექტორი, სტრატეგიული განვითარების ორი აღმასრულებელი დირექტორი, ჯგუფის გენერალური მრჩეველი იურიდიულ საკითხებში, ფინანსური დირექტორი და გარემოსდაცვითი ჯგუფის ხელმძღვანელი. კომიტეტის პასუხისმგებლობაში შედის:

- ჯგუფის პოლიტიკების მიმოხილვა და განახლება;
- საქმიანობაში გსმ პოლიტიკის დანერგვა;
- სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორების ყოველწლიურად დაფიქსირება და მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფა;
- პოლიტიკის გაცნობა ყველა თანამშრომლისთვის;
- ყველა ობიექტზე გსმ საკონტაქტო პირის გამოყოფა;
- გსმ -სთან დაკავშირებული ყველა საკითხის ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- შესაძლებლობების, რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და გამოწვევების მართვისთვის გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა
- გსმ რეიტინგის პროვაიდერებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- მდგრადობის წლიური ანგარიშის მომზადების ზედამხედველობა.

საბოლოო პასუხისმგებლობა გსმ-ზე და მდგრადობაზე ეკისრება დირექტორთა საბჭოს.

## 6. საკვანძო არეალები

ენერგო-პროსთვის ცნობილია, რომ გსმ მუდმივად ცვალებადია და პრაქტიკა და აქტივობები უნდა შეიცვალოს მონიტორინგის, დაინტერესებული მხარეების და ჩვენი ფინანსური პარტნიორების მოლოდინების საფუძველზე.

ქვემოთ აღწერილია პასუხისმგებლიანი ინვესტირების სამი ძირითადი საკვანძო საკითხი. აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების არაფინანსურ ძირითად ინდიკატორებზე, მათ შორის გარემოზე ზეგავლენაზე, საზოგადოებაზე ზეგავლენაზე, სამუშაო ძალაზე და ეთიკურ კორპორატიულ მმართველობაზე.

### გარემო

ჩვენი მიზანია დავიცვათ ბუნებრივი და ფიზიკური გარემო, როემლზეც გავლენას ახდენს ჩვენი ოპერაციები. ვითვალისწინებთ კლიმატის ცვლილებასთან და ბუნებრივი

რესურსების ამოწურვასთან დაკავშირებულ მზარდ გლობალურ პრობლემებს. მთავარი გასათვალისწინებელი არეალებია:

- ჩვენი GHG ემისიების გამოთვლა, მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნეების დადგენა SBTi-სა და პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობით, პროგრესის შესახებ მოხსენების წარდგენა და კონკრეტული ქმედებების შემუშავება ჩვენი GHG ემისიების შესამცირებლად და წმინდა ნულის მისაღწევად დეკარბონიზაციის გეგმების მეშვეობით.
- ენერჯისა და წყლის მოხმარების მონიტორინგი და ანგარიშგება წყლის ჩაშვების, ნარჩენების ჩათვლით და ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემების (ESMS) ჩამოყალიბება და ყველა ჩვენი ბიზნეს ერთეულისთვის ISO სერტიფიცირების მიმართულებით მუშაობა.
- ბუნებრივი რესურსების ეფექტურობა, ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები და მიწით სარგებლობა;
- ერთჯერადი მოხმარების პლასტიკის მინიმუმამდე შემცირება;
- სახიფათო ნარჩენების გამოყენების შემცირება და ეფექტური გამოყენების და პასუხისმგებელი ტრანსპორტირებისა და განკარგვის უზრუნველყოფა.
- რეაბილიტაციისა და აღდგენის გეგმების შედგენა და განხორციელება ჩვენს ყველა ლოკაციაზე, რომელიც მიზნად ისახავს დარღვეული მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების აქტივების აღდგენას.

### სოციალური საკითხები

გააზრებული გვაქვს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში კონტრიბუციის მნიშვნელობა ოპერირების არეალებში, ასევე დადებითი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობა. გასათვალისწინებელი მიმართულებებია:

- ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება;
- ანაზღაურების სავალდებულო დონე;
- ადამიანის უფლებების პატივისცემა;
- თანამშრომლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- შრომითი და სამუშაო პირობები;
- თანაბარი შესაძლებლობები, გენდერული თანასწორობა, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოსთვის, ტრეინინგი და უნარების განვითარება და შშმ პირების ინკლუზია;
- ადგილობრივი დასაქმება და შესყიდვები;
- მოსახლეობის კუთვნილი მიწის და ქონების დაცვა;
- კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური უბნების დაცვა;
- საზოგადოებაში ინვესტირება.
- მონაწილეობითი კონსულტაცია და გამჭვირვალე დაინტერესებული მხარეების გამჭვირვალე ჩართულობა.

### მმართველობა

ჩვენი მიზანია დავიცვათ მოქმედი კანონები და საქმიანობა ვაწარმოოთ ეთიკურად და გამჭვირვალედ, ძირითადი სფეროებია:

- კომპანიის ღირებულებები;
- ბორდის მრავალფეროვნება;
- საერთო ქცევის კოდექსი;
- ინფორმირების პოლიტიკა;
- კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა;
- ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის ნებისმიერი ფორმისადმი და არაეთიკური საქციელისადმი;
- პატიოსნების უმაღლესი სტანდარტების დაწესება საქმიანობის ყველა მიმართულებაში და ურთიერთობაში მთავრობასთან, პარტნიორებთან და საზოგადოებასთან.
- გსმ-ისა და მდგრადობის შესრულების შესახებ მოხსენება და გამჟღავნება ზუსტად, გამჭვირვალედ და გლობალურად აღიარებული გსმ პლატფორმების მეშვეობით.

## **7. სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები**

ვიღებთ ვალდებულებას ვაწარმოოთ გსმ საკითხებზე ანგარიშგება და მდგრადობის საკითხებზე წლიური ანგარიშგება. შევიძუშავეთ სამუშაოს შესრულების რიგი ინდიკატორები, მდგრადი განვითარების მიზნების და საუკეთესო საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკის შესაბამისად. სამუშაოს შესრულების ინდიკატორები მოცემულია ცალკე დოკუმენტში.

## **8. გავრცელება**

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე, შეტანილია საქმიანობის სტანდარტულ წესებსა და პირობებში და მისი გაცნობა შეუძლიათ კომპანიის აღმასრულებელ რეგულს, მენეჯმენტს, თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და ქვეკონტრაქტორებს. ეს პოლიტიკა გადაიხედება რეგულარულად და საჭიროებისამებრ განახლდება პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების შესაბამისად.

## **9. ძალაში შესვლა**

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაში შედის 2022 წლის მაისიდან.